



განცხადება # 1

დღეს, 2008 წლის 3 ნოემბერს ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები. საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობა აჭარაში შეადგენს **334** უბანს, ხოლო **# 2 ვაკისა და # 8 დიდუბის** საარჩევნო ოლქებში - **126** საარჩევნო უბანს. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში უმაღლესი საარჩევნო კომისიის მონაცემებით შეადგენს **292021**. ხოლო შუალედური არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით შედაგენს **167761** ამომრჩეველს.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ("სამართლიანი არჩევნები") ახორციელებს 3 ნოემბრის აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ფართომასშტაბიან მონიტორინგს და ფარავს აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე არსებული უბნების 100 %-ს, ხოლო შუალედური არჩევნებისთვის გახსნილ უბანთა 50 %-ს.

წარმოგიდგენთ 10:30 საათისთვის არსებულ მონიტორინგის შედეგებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

დაგვიანებით გაიხსნა **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის **# 53** საარჩევნო უბანი.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის 2 საარჩევნო უბანზე, კერძოდ **# 10** და **# 49** საარჩევნო უბნებზე, მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული რაოდენობა არ ემთხვეოდა საარჩევნო უბანზე მიღებული ბიულეტენების რაოდენობას.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის **# 70** საარჩევნო უბანზე დამკვირვებლებს მოსთხოვეს საარჩევნო უბნის დატოვება.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის **# 55** საარჩევნო უბანზე, უბნის გახსნის დროს იმყოფებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის **3** წარმომადგენელი. ხოლო **# 75** საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა ნაციონალური მოძრაობის **2** წარმომადგენელი. ორივე უბანზე წარმომადგენლებმა დატოვეს უბნები მითითების შემდეგ.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის **# 38** საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში მითითებული არა აქვთ სიის დანართში გადაყვანილი ამომრჩევლები. ჩვენი დამკვირვებლის მიერ დაწერილ იქნა **საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის **#71** საარჩევნო უბანზე იმყოფებოდა „ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაციის“ ორი დამკვირვებელი და ჩვენი დამკვირვებლის მითითების შემდეგ დატოვა საარჩევნო უბანი.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის **# 2** საარჩევნო უბანზე სადემონსტრაციო ოქმს კომისიის წევრები ფანქრით ავსებდნენ. ჩვენს მიერ დაწერილ იქნა **საჩივარი**.



სამართლიანი არჩევნები

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 55 საარჩევნო უბანზე საკონტროლო ფურცელზე არ დაფიქსირდა პირველი ამომრჩევლის პირადობის მოწმობის რეკვიზიტები. ჩვენს მიერ დაწერილ იქნა **საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 23 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე დამკვირვებლებს აიძულებდა გაყოლოდნენ გადასატან საარჩევნო ყუთს. ასეთივე ფაქტი დაფიქსირდა ბათუმის საარჩევნო ოლქის # 16 საარჩევნო უბანზე.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 53 საარჩევნო უბანზე წილისყრის გარეშე გადანაწილდა ფუნქციები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის. **დაიწერა საჩივარი** ჩვენი დამკვირვებლის მიერ. ჩვენი დამკვირვებლის მოთხოვნით საარჩევნო უბანზე ჩატარდა წილისყრა, თუმცა მოგვიანებით კომისიის წევრებმა წილისყრა არ გაითვალისწინეს და თვითნებურად გადანაწილეს ფუნქციები. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა დაწერა **მეორე საჩივარი** აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 66 საარჩევნო უბანზე სიის დანართში დაფიქსირებული იყო ისეთი ამომრჩეველი, რომელიც არ იყო ამომრჩეველთა ერთიან სიაში. **დაიწერა საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 66 საარჩევნო უბანზე სიის დანართსა და ერთიან სიაში ერთი და იგივე ამომრჩეველი სხვადასხვა სახელით იყო დაფიქსირებული. **დაიწერა საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 1 საარჩევნო უბანზე საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისულ ამომრჩეველს თავისი გრაფა ხელმოწერილი დახვდა. **დაიწერა საჩივარი** ჩვენი დამკვირვებლის მიერ.

82 შუახევის საარჩევნო ოლქის #17 საარჩევნო უბანზე პირველ ამომრჩეველს არ მოაწერინეს ხელი საკონტროლო ფურცელზე. ამავე საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში მითითებული არ არის სიის დანართში გადაყვანილი ამომრჩევლები. ორივე ფაქტთან დაკავშირებით დაიწერა **საჩივრები** ჩვენი დამკვირვებლის მიერ, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიამ არ მიიღო არცერთი საჩივარი. „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელმა ორივე **საჩივარი** შეიტანა # 82 შუახევის საარჩევნო ოლქში.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანზე საკონტროლო ფურცელზე ხელი მოაწერინეს ისეთ ამომრჩეველს, რომელიც არ იყო ერთიან სიაში. მოგვიანებით გამოიცვალა საკონტროლო ფურცელი. **დაიწერა საჩივარი**.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანზე მითითებული არ იყო რეგისტრაციიდან მოხსნილი კანდიდატები. ჩვენი დამკვირვებლის მიერ **დაწერილ** იქნა **საჩივარი**.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 44 უბანზე საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი დაგვიანებით დაიწყო. ჩვენი დამკვირვებლის მიერ **დაიწერა საჩივარი**.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ამ ეტაპისათვის „სამართლიანი არჩევნების“ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციებში (აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე) შეტანილია სულ 13 საჩივარი, რომელთაგან ორი არ დარეგისტრირდა საარჩევნო უბნებში და შეტანილია საარჩევნო ოლქში.

„სამართლიანი არჩევნების“ არჩევნების დღის მონიტორინგი დაფინანსებულია ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge